



DEUTSCHE
WIRTSCHAFTS
VEREINIGUNG

გერმანიის
ეკონომიკური
გაერთიანება

სარჩევი

იურიდიული ცნობარი	1
დაგეგმილი ტრენინგები	2
წევრთა სიახლეები	3
სხვა სიახლეები	3
EVA-ს შეთავაზება	4



DWV-იურიდიული ცნობარი

1) ცვლილებები დღგ-ის გადამხდელისათვის

განისაზღვრა თუ რა შემთხვევაში ენიჭება დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულ პირს კვალიფიციური ან არაკვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსი

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ [ამ ბმულზე](#).


2) სამუშაო დროის აღრიცხვის წესი და ფორმა

2021 წლის 1 მარტიდან ამოქმედდება ბრძანება, რომელიც ითვალისწინებს დამსაქმებლის ვალდებულებას, სამუშაო დღეს წერილობით ან/და ელექტრონულად აწარმოოს დასაქმებულთა მიერ ნამუშევარი დრო და სამუშაო დროის ყოველთვიური აღრიცხვის დოკუმენტი.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ [ამ ბმულზე](#)



ოფიციალური წარმომადგენლობა



Senior Experten Service
მარია ბრეგაძე
maria.bregadze@dwv.ge

ალინა დოსტი
alina.dost@dwv.ge

Messe Frankfurt და Fruit Logistica
ზაირა სოლოევა
zaira.soloeva@dwv.ge

თანამშრომლობა



კონტაქტი

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება
რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი
თომას კიმმესვენგერი
+995 32 220 5767
thomas.kimmeswenger@dwv.ge



დაგეგმილი ღონისძიებები

მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის ფორუმი „დივერსიფიკაცია და ინოვაცია აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში“

04.-05.03.2021; 11:00 - 16:00 (ECT)

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება (DWV) გერმანულ-აზერბაიჯანული სავაჭრო და სამრეწველო პალატა (AHK Azerbaijan), გერმანულ-ბელორუსული სავაჭრო და სამრეწველო პალატა (AHK Belarus) და გერმანულ-უკრაინული სავაჭრო და სამრეწველო პალატა (AHK Ukraine) ორგანიზებას უწევენ მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის ფორუმს "დივერსიფიკაცია და ინოვაცია აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში". პროექტი ხორციელდება აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით, ეკონომიკური განვითარების, მმართველობისა და მენარმეობის ზრდის პროექტის (EDGE) ფარგლებში.

ფორუმის მიზანია შექმნას უნიკალური პლათფორმა, რომელიც გააერთიანებს ბიზნესის და ეკონომიკის მაღალი რანგის წარმომადგენლებს და პოლიტიკური ინსტიტუციებს გერმანიიდან, აგრეთვე აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებიდან, როგორც არის აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო და უკრაინა. გარდა ამისა, პანელური დისკუსიების, თემატური მოხსენებების და ვორქშოფების საშუალებით, ღონისძიება დიალოგის ექსკლუზიურ შესაძლებლობას იძლევა საჯარო და კერძო სუბიექტებს შორის.

პროექტში საქართველოდან მონაწილეობენ: Agritouch, Bio Farm Pona, Komli, Trails and Wines
რეგისტრაცია

DWV-ტრენინგი: მომხმარებლის ფსიქოტიპები და გაყიდვების ეფექტიანი კომუნიკაცია

18.03.2021; 11:00 - 15:00

განსახილველი საკითხები: გაყიდვებზე ორიენტირებული კომუნიკაციის პროცესის თავისებურებები, საზოგადო და პიროვნებათშორის ურთიერთობები, მომხმარებლის სამეტყველო და ქცევითი სისტემები.

სამიზნე აუდიტორია: მომხმარებელთან ურთიერთობის სამსახურების წარმომადგენლები, მენეჯერები, გაყიდვებისა და შესყიდვების სპეციალისტები და ეფექტიანი კომუნიკაციის თემატიკით დაინტერესებული პირები.

ტრენერი: ნათია გოცაძე

რეგისტრაცია

წევრთა გენერალური ასამბლეა

23.03.2021; 11:00

2021 წლის 23 მარტს დაგეგმილია გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების (DWV) წევრთა გენერალური ასამბლეა, რომელიც წელსაც ონლაინ ფორმატში ჩატარდება. დღის განრიგშია 2020 წლის საქმიანობის მიმოხილვა, ჩატარებული ღონისძიებები და ორგანიზაციის სხვა აქტივობები, გეგმები 2021 წლისთვის და სხვ.

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების წევრები მოსაწვევს მიიღებენ პირადად, ელ-ფოსტაზე.

DWV-ტრენინგი: ეკონომიკური დანაშაულები და სახელშეკრულებო ურთიერთობები

31.03.2021; 11:00 - 15:00

განსახილველი საკითხები: ეკონომიკური დანაშაულების სახეები, ხელშეკრულება, როგორც დანაშაულის ჩადენის იარაღი, მტკიცებითი სირთულე პრაქტიკაში.

სამიზნე აუდიტორია: იურიდიული სამსახურის წარმომადგენლები, ადვოკატები, სამართლის სპეციალისტები, კომპანიების ზედა რგოლის მენეჯერები

ტრენერები: სერგი ჯორბენაძე, უშანგი ბახტაძე

რეგისტრაცია

წევრთა სიახლეები

- > **თიბისი ბანკმა** ახალი კონცეფციის ფარგლებში 6 განახლებული ფილიალი გახსნა
- > 29 მარტიდან მაისის ბოლომდე ავიაკომპანია **Lufthansa** შეასრულებს ფრენებს გაზრდილი სიხშირით
- > წყნეთში “**ავერსის**” აფთიაქი გაიხსნა
- > **საქართველოს ბანკი** მომხმარებლებს ახალ აქციას, გზავნილების გათამაშებას სთავაზობს
- > **პროკრედიტ ბანკი** მწვანე მშენებლობის დაფინანსების სპეციალურ პროგრამას იწყებს
- > **საქართველოს ბანკი** მომხმარებელს ენერგოკრედიტს სთავაზობს
- > **JG Counselors** გახდა UN Global Compact Network Georgia-ს წევრი
- > **AE Solar** გახდა Solar Tech Solutions Providers im APAC 2021-ის გამარჯვებული
- > **ელემენტ კონსტრაქშენი** სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის კამპუსის მშენებლობას ასრულებს

სხვა სიახლეები

- > **საქართველო** ინვესტიციების ხელშემწყობი სააგენტოების მსოფლიო ასოციაციის (**WAIPA**) წევრი გახდა
- > პარლამენტში რესტრუქტურის შედეგად გამოიყოფა **კულტურის კომიტეტი**
- > **რესტორნებისა და კვების ინდუსტრიის** წარმომადგენლებს 5 მარტის ჩათვლით შეუძლიათ, გააკეთონ განაცხადი, რათა 6 თვის განმავლობაში მათ მიერ აღებული **სესხების პროცენტის სუბსიდირება** სახელმწიფომ განახორციელოს
- > იმ ქვეყნების ჩამონათვალს, საიდანაც მოქალაქეებს **PCR-ტესტის უარყოფითი პასუხით ჩამოსვლა** შეუძლიათ, დაემატა აზერბაიჯანი, სომხეთი, რუსეთი, უკრაინა და ბელორუსი

Covid-Update

შეზღუდვების მოხსნის გეგმა

25 თებერვლიდან:

- გაიხსნა სამთო-სათხილამურო კურორტები;
- მუშაობას განაახლა საქალაქთაშორისო ტრანსპორტმა.

1-ლი მარტიდან:

- სკოლამდელი აღზრდის საჯარო და კერძო დაწესებულებები აღადგინენ ფუნქციონირებას 2 კვირაში ერთხელ თანამშრომლების 20 %-ის სავალდებულო ტესტირების პირობით;
- უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლები კლინიკური, პრაქტიკული, ლაბორატორიული საქმიანობის აღდგენას და გამოცდების არადისტანციურ ფორმატში ჩაატარებენ;
- მუზეუმები და ბიბლიოთეკები მუშაობას განაახლებენ;
- ბათუმში რესტორნები სტუმრებს მიიღებენ შიდა სივრცეებში (შაბათ-კვირის გარდა);
- შესაძლებელია კონფერენციებისა და ტრენინგების ჩატარება.

8 მარტიდან:

- არასასურსათო საცალო ვაჭრობა შაბათ-კვირის ჩათვლით, მუშაობას განაახლებენ;
- მთელი საქართველოს მასშტაბით რესტორნებს სტუმრების მიღება შეეძლება შიდა სივრცეში (შაბათ-კვირის გარდა);
- ამუშავდება სამთო-სათხილამურო კურორტებზე საბაგიროები.

15 მარტიდან:

უნივერსიტეტები სასწავლო პროცესს აუდიტორიებში განაახლებენ;
სპორტული დარბაზები ფუნქციონირებას განაახლებენ;
ამუშავდება სასკოლო წრეები;
თეატრები, სპორტული კლუბები, პროფესიული ანსამბლები რეპეტიციების და ვარჯიშის განახლებას შეძლებენ. **1-ლი აპრილიდან** კი ისინი სრულად აღადგინენ მუშაობას.

ბილტმორი ჩვენი მკითხველებისთვის



Women's Week

MARCH 2-9



განსაკუთრებული შეთავაზება ქალბატონებისთვის

გამორჩეული დღე 09:00-დან 20:00-მდე - 135 ლარი + 18% დღგ

- განთავსება გაუმჯობესებული კატეგორიის ნომერში
- სპა ცენტრით სარგებლობა - აუზი, საუნა, ჯაკუზი და სატრენაჟორო დარბაზი

განტვირთვის კვირეული - 300 ლარი + 18% დღგ

- განთავსება გაუმჯობესებული კატეგორიის ნომერში
- საუზმე ნომერში
- სპა ცენტრით სარგებლობა - აუზი, საუნა, ჯაკუზი და სატრენაჟორო დარბაზი
- გვიანი გასვლა 15:00 საათზე

ორივე შეთავაზება მოიცავს სპეციალურ ფასდაკლებებს:

- -30% ფასდაკლება ყველა ტიპის მასაჟზე
- 20% ფასდაკლება სილამაზის სალონში „Beauty Zone“
- 20% ფასდაკლება ლაუნჯ ბარში „აზურა“

შეთავაზებები შესაძლებელია შეიძინოთ სასაჩუქრე ვაუჩერის სახით
ძალაშია 2 მარტიდან - 9 მარტამდე

დეტალური ინფორმაციისთვის: +995 (322) 727272



ქალთა დღის შეთავაზება სასტუმრო Radisson Blu Iveria, თბილისი

1) ერთი ღამე 8/9 მარტი - 389 ლარი დღე-ს ჩათვლით

- საუზმე ორ ადამიანზე
- ვახშამი ორ ადამიანზე
- 20% ფასდაკლება Anne Semonin Spa-ში

2) Day Use Rate 8 მარტს - 295 ლარი დღე-ს ჩათვლით

- განთავსება 12:00-დან 20:00-მდე
- ვახშამი ორ ადამიანზე
- 20% ფასდაკლება Anne Semonin Spa-ში

3) მარტის უქმეების შეთავაზება: 3-9 მარტი - 235 ლარი დღე-ს ჩათვლით

- საუზმე ორ ადამიანზე
- 1 ბოთლი შუშხუნა ღვინო ოთახში
- 20% ფასდაკლება Anne Semonin Spa-ში
- 10% ფასდაკლება რესტორნებში: უმამი და ფილინი



მარტის განსაკუთრებული შეთავაზება სასტუმრო Radisson Blu Iveria Batumi

1) მარტის უქმეები: 3-9 მარტი - 250 ლარი დღე-ს ჩათვლით

- საუზმე ორ ადამიანზე
- 20% ფასდაკლება Anne Semonin Spa-ში

2) 3 ან მეტი ღამით დაჯავშნის შემთხვევაში: 210 ლარი დღე-ს ჩათვლით

- საუზმე ორ ადამიანზე
- 20% ფასდაკლება Anne Semonin Spa-ში

დეტალური ინფორმაციისთვის : +995 (322) 402200

